კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გავლენა და შედეგები მომხმარებელთა კეთილდღეობაზე

რუსუდან კუცია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ზურაბ გველესიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

რუსუდან კუცია

23.06.2025

აბსტრაქტი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები კონკურენციის სამართალში ერთ-ერთ ყველაზე მავნე და მომხმარებელთა კეთილდღეობის დამთრგუნველ პრაქტიკად მიიჩნევა. მათი შედეგი პირდაპირ აისახება ფასების ხელოვნურ ზრდაში, პროდუქციის ხარისხისა და მრავალფეროვნების შემცირებაში, აგრეთვე ინოვაციური სტიმულების ჩახშობაში, რაც საბოლოოდ აზიანებს როგორც მომხმარებელთა ინტერესებს, ისე ბაზრის ჯანსაღ ფუნქციონირებას. ბოლო წლებში საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და კონკურენციის პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, თუმცა პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელზე ორიენტირებული კეთილდღეობის სტანდარტის სრულ დაცვას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების სამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე მათი გავლენის შეფასებას მომხმარებელთა კეთილდღეობაზე. კვლევა ეყრდნობა კეთილდღეობის თეორიებს, ეკონომიკურ ეფექტებზე დაყრდნობილ ანალიზსა და მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს პრაქტიკულ შეფასებას. განსაკუთრებული აქცენტი კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სტანდარტზე კეთდება, როგორც თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკის ცენტრალურ ელემენტზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მომხმარებელთა კეთილდღეობაზე დაფუძნებული სამართლებრივი მიდგომის გაძლიერება მოითხოვს ნორმატიული ბაზის რეფორმირებასა და ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქტიური და ეფექტიანი აღსრულების პოლიტიკის შემუშავება, სისტემური ბაზრის მონიტორინგის ამოქმედება და ეკონომიკური ანალიზის ინტეგრაცია ანტიმონოპოლიური პრაქტიკის ყველა დონეზე.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, კეთილდღეობის სტრანდარტი, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ეკონომიკური ანალიზი, ბაზრის მონიტორინგი, აქტიური აღსრულების პოლიტიკა.

Abstract

Anticompetitive agreements are considered one of the most harmful and welfare-suppressing practices in competition law. Their effects directly manifest in artificial price increases, reductions in product quality and variety, as well as the suppression of innovation incentives, ultimately harming both consumer interests and the healthy functioning of the market. In recent years, antimonopoly legislation and the institutional framework of competition policy in Georgia have made significant progress; however, current practice still falls short of fully ensuring a consumer-oriented welfare standard. This study aims to assess the impact of anticompetitive agreements on consumer welfare through a legal and economic analysis. The research relies on welfare theories, economic effect-based analysis, and practical evaluation of the existing legal framework. Special emphasis is placed on the welfare-oriented standard as a central element of modern competition policy. The findings reveal that strengthening a consumer welfare-based legal approach requires normative reforms and the development of institutional mechanisms. Particularly important are the formulation of active and effective enforcement policies, the implementation of systemic market monitoring, and the integration of economic analysis at all levels of antimonopoly practice.

Keywords: competition, anticompetitive agreement, welfare standard, antimonopoly legislation, economic analysis, market monitoring, active enforcement policy.